

მასობრივად საზოგადოებრივ სპორტში საზოგადოებრივ სპორტში



ინარჩუნებენ გატყობ-
სილას ჩვენი დედაქალა-
ქის ახალი მავისტრალი —
ფაფა-ფაფაქი პრესბექ-
ტი. ვინ მოთვლის რამდენ-
ნი მრავალსართულიანი სახ-
ლის, სახელმწიფო დაწე-
სებულებს, სასწავლებლის
თუ სასტუმროს ახალი
კორპუსები აგებულა აქ ამ ბოლო
წლებში, რამდენი კი მშენებლობის
პროცესშია...

პროსპექტზე გამკვლეულა ყურადღებას
იპყრობს ერთი ზუსტსართულიანი შენ-
ობა თავისი კეთილმოწყობილი ეზოთი
და სპორტული მოედნებით. ამ შენობა-
ში მოთავსებულია ტექნიკური თბილი-
სის კოოპერაციული ტექნიკური და კო-
ოპერაციული სასწავლებელი.
ამ ტექნიკურში იზრდებიან საბჭოთა
კოოპერაციული ვაჭრობის მომავალი
მუშაკები — საქონელმწოდნები და
კულინარები, ბუღალტრები და სამა-
ცივრო დანადგართა სპეციალისტები.
ტექნიკურის მოსწავლეობა უმრავლეს-
ბა რაიონებიდან ჩამოსული ახალგაზრ-
დებია. სპეციალობასთან ერთად, ისინი
გულმოდგინედ ეუფლებიან სპორტის
რომელიმე სახეობას.

ჯერ სტატისტიკას გადავხედოთ: ტექ-
ნიკურისა და სასწავლებლის 500-მდე
მოსწავლე „სპარტაკის“ წევრია. ახალ-
გაზრდობის ამ საკმაოდ დიდ რაზმს
სათავეში უდგას ფიზკულტურის საბჭო,

რომლის თავმჯდომარეა ფიზიკური
ალზრდის უფროსი მასწავლებელი შ.
გონენაშვილი.
სპორტის შვიდ სახეობაში — ფრენ-
ბურთში, კალათბურთში, სპორტულ
ტანვარში, მავიდის ჩოგბურთში,
ჭადრაკში, მძლეობისა და ტყვიით
სროლაში მიმდინარეობს რეგულარული
სექციური მეცადინეობა. სექციებში 185
მოსწავლეა გაერთიანებული. გარდა ამ-
ისა, ტექნიკურის მოსწავლეები თავიანთ
სპორტულ-ოსტატობას იმაღლებენ
„სპარტაკის“ კიბაობისა და კრივის
ცენტრალურ სექციებში. 1963-64 სას-
წავლო წლის მანძილზე, მომავალმა
კოოპერატორებმა 24 სახის სხვადასხვა
შეჯიბრებაში მიიღეს მონაწილეობა. ამ
ლონისძიებებში გამომსვლელობა რიცხვმა
2.541 კაცს მიაღწია. ჩატარდა შიდა-
საკოლექტივო სპარტაკიადი, ტურისტუ-
ლი ლაშქრობები, კროსები, მოწყო-
რება ახალგაზრდი და კალენდარული შეჯიბ-
რებები სხვა ტექნიკურებისა და თრგა-
ნიზაციების სპორტსმენებთან.




— საქალაქო სპარტაკიადში მონა-
წილეობით, — ჩვენთან საუბარში თქვა
მასწავლებელმა შ. გონენაშვილმა, —
ერთგვარი ანგარიში გაუკეთეთ ჩვენს
მიერ მთელი წლის მანძილზე გაწეულ
მუშაობას. კერძოდ, გავარკვიეთ, თუ
როგორ არის ჩვენთან დაკავებული თან-
რიგის სპორტსმენთა მოზადება. აქ
კი ნამდვილად კარგ შედეგებს მივაღ-
წიეთ. როგორც იტყვიან, გეგმა ყველა
სფეროში გადაჭრებით იქნა შესრუ-
ლებული. აქვე ვინდა აღვნიშნო, რომ
ჩვენი ტექნიკურის საქონელმწოდნების
სპეციალობის III კურსის მოსწავლემ რ.
ბერუაშვილმა შარშან სპარტაკში გამა-
რულერ სამხისტა საკავშირო პირად-
გუნდურ პირველობაზე ჩემპიონის წო-
დებამ მოიპოვა.

... ამ წარმატებების სათავე უშუა-
ლოდ ფიზკულტურის გაკვეთილებიდან
მომდინარეობს, ხოლო შემდეგ თანდა-
თან მტკიცდება სპორტულ სექციებში
სისტემატური მეცადინეობით. კოოპე-
რატორებს მშვენიერი სპორტაზები
აქვთ. მოსწავლეობა განკარგულებასა
კეთილმოწყობით სპორტული დარბა-
ზი, ფრენბურთისა და კალათბურთის
მოედნები, სარბენი ბილიკები, ფართო
ეზო გამაჯანსაღებელი ვარჯიშებისთვის.
აქ რეგულარულად ტარდება ფიზ-
კულტურული კოლექტივის საბჭოს
სხდომები, რომლებზეც აქტუალურ სა-
კითხებს იხილავენ. მოსწავლეთა იდუარ-
პოლიტიკური ალზრდის საქმეში ტექნი-
კურს ქმედით დახმარებას უწევენ კედ-
ლის გაზეთი „სპორტული ახალგაზრ-
დობა“ და ადგილობრივი რადიოქსელი,
ხოლო სასწავლებლის ვესტიბულიში გა-
მართული სპორტული სტენდი საინტე-

რესოდ ასახავს მოსწავლე-ფიზკულტუ-
რელთა ცხოვრების მრავალ ეპიზოდს.
თუ რამდენიმე წუთით მაინც შეიხე-
დავი ფიზკულტურის საბჭოს ოთახში,
უპირველეს ყოვლისა თვალში გმცე-
მათ კედელზე გაკრული, სპორტულ ას-
პარეზობებში მოპოვებული უამრავი
სიგელი და ვიშნული, თაროებზე გან-
ლაგებული თასები და სხვადასხვა სა-
ხის პირიები. განსაკუთრებით — ფრენ-
ბურთულ ვაჭთა და კალათბურთულ ქალ-
თა გუნდებს უსახელებიათ თავი. მათ
„სპარტაკისა“ და საგაჭრო და სამო-
მხმარებლო კოოპერაციის პროფკავშირ-
თა რესპუბლიკურ პირველობაზე
II საპირიო უდიდებო შოუ-
პოვებით. ტექნიკურში ბევრია მო-
წინავე სპორტსმენი, მაგრამ მათ
შორის მაინც დავასახელებთ ფრენ-
ბურთულებს — ხედილიძეს, ფილიას,
თეთრაშვილს, ლუნდუსს, ტუხაშვილს;
კალათბურთულებს — ქარქუშავეს, ლო-
მიძეს, წვენიაშვილს; მოჭადრაკებს —
კრიხელს, ნარიშაძეს, ტანთაგარაძეს
და სხვ.

ამ დღეებში დიდი სიხარული განი-
ცადა თბილისის კოოპერაციული ტექნი-
კურის მთელმა კოლექტივმა. მას საზეი-
მო ვითარებაში გადასახლება „სპარტაკის“
ცენტრალური საბჭოს საპატიო დიპლო-
მით ფიზკულტურულ კოლექტივს
ფიზკულტურულ-მასობრივი და გამაჯა-
ნსაღებელ-სპორტული მუშაობის მა-
ღალი მაჩვენებლებისთვის.

სასწავლო წლის ამ უკანასკნელი
სასიამოვნო ავტორით გამხსვევული
კოოპერატორები მთელი ენერჯითა და
მონდობით იბრძობებენ მომავალში
უკეთესი სპორტული მაჩვენებლე-
ბის მოპოვებისთვის.



ბ. საითიძე
ს უ რ ა თ ე ზ ე : ზევით — მას-
წავლებელი შ. გონენაშვილი მორიგ
მეცადინეობას ატარებს სპორტულ
ტანვარში; ქვევით — ფრენბურ-
თში კოოპერაციული ტექნიკურის
პირველობაზე შეხვედრის ერთ-
ერთი მომენტი.
ფოტო მ. ზარგარაიანისა.

წოდებათა მინიჭება

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირ-
ის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სპორტის ოსტატის წოდება მიე-
ნიჭეთ: წყალბურთში — ა. ხავერდიძეს (თბილისი, „ბურჯესტინა“);
ტანვარში — ვ. ადამაშვილს (განათლების სამინისტრო); ალპინ-
იზმში — ნ. ქირიაშვილს (ყაზბეგი, „კოლმურენი“).

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის
საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით რესპუბლიკური კატეგორიის მასჯის წო-
დება მიენიჭეთ: კალათბურთში — ნ. ფოფაძესა და ვ. კიკნაძეს (თბი-
ლისი — თბილისიდან); ფეხბურთში — ა. გაგარეიშვილს (თბილისი);
ფრენბურთში — ი. ნიკოლაიშვილს (თბილისი); ტანვარჯიშში —
შ. ცნობილიძეს (თბილისი); მავიდის ჩოგბურთში — ვ. სახივეს
(თელავი); სახანძრო-გამოყენებით სპორტში — ა. კარპოვს,
გ. ისაიოვსა და ვ. ვარკივს (სამიგენი — თბილისიდან).

მოსკოვის სპორტულ სარბილზე
ტანვარჯიშეები ასპარეზობდნენ. ბევ-
რი მათგანის ბრწყინვალედ შესრულე-
ბულმა ვარჯიშმა წარუშლელი შთაბეჭ-
დილება დატოვა მაყურებელზე. ერთ-
ერთ საუკეთესო „აქტორად“ ქართველი
გოგონა მზია ნინოშვილიც მოგვივლინა.
მისმა თავისუფალმა ვარჯიშმა თითქოს
მოკადრებულ წრეში მოაქცია აფი ათა-
ხი მაყურებელი, რომელიც სულგანაბ-
რი აღევნებდა თვალს სპორტსმენის და-
სხევილ ნარჩარ მოძრაობას.
ტაში და ოვაცია დიდხანს არ დამცხ-
რალა. შემდეგ კი მომხმამა მეზობლების
საუბარი, რამაც აღმიძრა ამ წერტილის
დაწერის სურვილი.
— ამ გოგონამ, — ამბობდა ერთი
მათგანი, — გამასსენა ქართველ ტან-
ვარჯიშეთა ძველი პოეზია, რომლის
გამოსვლაც არანაშუალოდ იწვევდა
მოსკოველ მაყურებელში. უწინ ჩვენი
მაყურებელი ქართველ ტანვარჯიშე-
თაგან ყოველთვის სიურპრიზებს მოე-
ლოდა. ვიცოდით, რომ მწიფი რეს-
პუბლიკის წარმომადგენლები აუცილმ-
დლად ჩამოიტანდნენ ახალ ილიუსს, ილე-
თების ახალ, სადგარად რთულ ნიჭროს,
რაც სანახაობითი თვალსაზრისითაც აღ-
აფრთვინებდა კაცს.
— მართლაც რომ ასე იყო, — თქვა თა-
ნამოსაუბრემ, — მთავარი ისაა, რომ
ასეთი ნოვატორით ქართველმა ტან-
ვარჯიშეებმა საბჭოთა ტანვარჯიშული
სკოლის წინსვლას შეაწყვეს ხელი...

ჩვენის ოვატორი

ამ საუბარმა ორგანიზაციული მომ-
გება; თავდაპირველად იმის გამო,
რომ ჩვენი ტანვარჯიშეების დღევან-
დელმა თაობამ ველარ შეძლო ამ სა-
პატიო, მეტად საამაყო ტრადიციის შე-
ნარჩუნება, და შემდეგ — არა თუ ფარ-
თა სპორტულ საზოგადოებრიობას, არ-
ამედ მოქმედ ტანვარჯიშეთა არც
ერთ წარმომადგენელს დღეს წარმოადგე-
ნაც კი არა აქვს იმ ნოვატორულ საქ-
მიანობაზე, რასაც მათი ღირსეული
წინაპრები ეწოდნენ.
სწორედ ამ გარემოებამ მიკანნახა
აღმუხუსა ჩვენი ცალკეული სახელმო-
ხვეცილი ტანვარჯიშეების მიერ და-
მუშავებული ახალი ილიუები თუ ილე-
ვითა ნაერთები და დავიწყების ჩრდი-
ლისაგან შეხსნა ისინი — წარმომადგე-
ნა ფართო საზოგადოებრიობისთვის.
მკითხველს ვთავაზობთ ზოგიერთი მა-
თგანს:

წინწევით ბრუნი — ამოტაცით ხელ-
ყირამდე; 3. დატაცით წინაღმართალი.
ნ. შეიფარიაძე: 1. უკუნე-
ვით ასვლა, 180°-ზე ბრუნით წინფერს
გადაქანი — უნით ბჯენამდე; 2. ნაირ-
ტაცით ბჯენიდან ფეხების მარცხენა გ-
ტახით უკუდასვლა და მარცხენის გამ-
ვებით ბრუნი, 360°-ზე მხრით უკან,
ტემპში უკნით აკვრით ასვლა.
გ. რცხილაძე: 1. ამოტაცით
აღმატრალიდან კეცვადქანი და წინ-
ტრალით კეცვადქანით ხელყირა;
2. უკნით ქვევით გაქნევი და წინ-
ქნევი ასვლა — უკნით ბჯენამდე;
3. წინწევით მხრით წინ 180°-ზე
ბრუნი — უკნით უკმერტივად და უკ-
ნით აკვრით ასვლა; 4. იგივე რაც
№ 3, მხოლოდ მხრით უკან ბრუნი.
ა. ჯორჯაძე: 1. შემოსწრაფა კი-
დში, მოკვეთით და შუა ქნევეზე გამ-
ლოთ და მარცხენის გამვებით მარცხ-
ნივ მხრით უკან ბრუნი — ნაირტაც-
ით უკნით უკმერტივად და უკნით
აკვრით ასვლა; 2. შემოსწრაფა 180°-ზე
ბრუნით — ხელყირამდე; ამ ილიუსის
აგტორია გ. რცხილაძე, შეჯიბრებაზე
კი პირველად შეასრულა ა. ჯორჯაძემ;

3. იგივე რაც № 2 — კეცვადქანი;
4. ამოტაცით აღმატრალიდან, კეცვა-
დაქანი, წინტრალით გრებილი და
უკუნევით ასვლა — გადატაცით; 5. უკ-
ქნევეზე ღუნვადქანი და ტემპში უკ-
ნით აკვრით ასვლა; 6. უკნით ას-
წრაფა გაგვერდუკვადქანით — ბჯენ-
ში და შემოსწრაფა კიდში; 7. უკნით
ბჯენიდან წინტრალით ღუნვადქანი
ხელყირაში.
ნ. თაყაიშვილი: 1. უკუნევე
ასვლით — ფეხშლით გადაქანი უკნით
კიდში.
დ. ყანაძე: 1. უკუნევე
ტრალით ხელყირა და „ფრენით“ ჩა-
მოსტომი.
დ. ახვლედიანი: 1. შებრუნე-
ბულ ტაცში აღმატრალი; 2. შებრუნე-
ბულ ტაცში აღმატრალიდან უკუნევე-
ზე გადატაცით ამოტაცში და წინაღ-
მართალი.
ი. თაყაიშვილი: 1. უკნით ბჯენიდან
წინტრალით ფეხშლით უკუნევე
კიდში.
ნ. დოლიძე: 1. უკნით ას-
წრაფა 180°-ზე ბრუნით — ხელყირა-
მდე.
კ. გაბაძე: 1. უკუნევე
შლით ხელყირის გადატაცით წინ-
ყირამალა — ჩამოსტომში; 3. გასწრაფ
დგომიდან წინა ძელზე ტაცით, ასწრა-

3 ა ჟ ე ბ ი
ღ ა რ ი
გ. ბ ა ბ ი ლ ო ძ ე : 1. ამოტაცით
აღმატრალიდან „ფრენით“ ჩამოსტო-
მი; 2. დატაცით უკუნევე აღმატრალიდან

ორბალი
გ. ბ ა ბ ი ლ ო ძ ე : 1. ბჯენიდან
ქვევლა — ბჯენში; 2. ბჯენიდან უკ-
ნით ხელყირის გადატაცით წინ-
ყირამალა — ჩამოსტომში; 3. გასწრაფ
დგომიდან წინა ძელზე ტაცით, ასწრა-

ცხრილი თანდათან ივსება

სქანლის მოსახეები ხლიან ქალებს

რებათა ჩატარების ერთგვარმა ევოლუციამ (გაიზარდა სამიხუნეთა ფრენის სისწრაფე, შეიცვალა მათი მიწოდების სისტემა) მოითხოვდა რეკორდების ახალი საწყისი ნორმატივების შემუშავებას. საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმმა რამდენიმე დღის წინ დაამტკიცა ახალი ნორმატივები. რის გამოც ძველი რეკორდები ისტორიას ჩაბარდა. ცხრილში გათავისუფლდა ყველა გრაფა, ცხადია, დროებით. თბილისის მონაკვეთის სტუ-

ნდზე გამართულმა მორიგმა რესპუბლიკურმა ჩემპიონატმა და ჯაბუკა შეჯიბრებამ უკვე შეავსეს სამი ცარიელი უჯრედი.

ძლიერი ქარის გამო პირველ დღეს — 5 ივლისს — შეჯიბრება ჩაიშალა და ამის გამო დაირღვა ასპარეზობის პროგრამა, სპორტსმენებს შეუძლონ 300-300 სამიხუნეთის ნაცვლად მიეცათ 200-200.

კვლევა შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია თბილისელი ისტატი ზ. მარხაილი. მას მხოლოდ შორეუ სერიისში ერთი სამიხუნე „გამოეპარა“ უგუნებლად და 99 ქულა მოაგროვა ადგილიდან სროლაში, რითაც 6 ქულით გაუსწრო თანაგუნდილ ო. სავანელიძეს. ოთხ სპორტსმენს — ა. ხახანაშვილს, თ. ნურბაძეს (ორივენი — თბილისიდან), სოსუმელ ჯ. დარასელიასა და პირად ჩათვლაში მონაწილე შ. მე-

ფარიშვილს (თბილისი) ერთნაირი მაჩვენებელი ჰქონდათ — 92 ქულა. ამრიგად, გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა თბილისის ოთხეულმა — 376 ქულა. არის პირველი რესპუბლიკური რეკორდი!

ფინალში კვლავ კარგად ისროდა მარხაილი. ორი დღის ჯამში მან 193 ქულა აჩვენა და რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა. მეორე ადგილზეა ა. ხახანაშვილი — 192 ქულა, მესამეზე — ი. სავანელიძე — 185.

ნაურდა ანტონოვი, რომელმაც საბოლოოდ 187 ქულა აჩვენა და დასასკურთა I ადგილი. ქულები მას 3 ქულით ჩამორჩა.

მესამე ადგილისთვის მებრძოლებს — სოსუმელ რ. აიბახასა და თბილისელ ლ. სიმონიანს ერთნაირი მაჩვენებელი (177 ქულა) აღმოაჩნდათ. პრიზიორის გამოსავლენად საჭირო გახდა ოთხი დამატებითი სერია, რომლებშიც უპირატესობა ვერც ერთმა ვერ მიიპოვა და მსჯელთა კოლეჯმა ორივე სპორტსმენს 111 ადგილი მიაკუთვნა.

გუნდური პირველობა დაისაკურთა თბილისელებმა, რომელთაც დარჩათ მთავარი პრიზი კომპლექსურ ჩათვლაშიც.


ჯაბუკა შეჯიბრების მონაწილეებს მიეცათ 100-100 სამიხუნე. ადგილიდან სროლაში ჯაბუკა რესპუბლიკური რეკორდით (89 ქულა) უძლიერესი იყო ა.

გრიგორიადი (თბილისი), მრგვალ სტენდზე — ნ. გოცირიძე (თბილისი) — 67 ქულა.

სუსტად გამოვიდნენ აჭარის, მახარაძისა და ქუთაისის კოლექტივები. ადგილიდან სროლაში ამ გუნდებიდან ვერავინ მიიღო ჩათვლა, მრგვალ სტენდზე სროლაში კი აფხაზეთის გუნდური მეორე ადგილი მოუტანა მხოლოდ რ. აიბახამ (გუნდის 4 წევრიდან). როგორც გამოირკვა, აჭარაში, მახარაძეში და ქუთაისში კვლავ მუ-

ო. გელაშვილი

სურათებზე: საქართველოს ჩემპიონები — ანტონოვი (მარცხნივ) და ზ. მარხაილი.



მორიგი ბურის წინ

ივლისს სსრ კავშირის საბჭოთაო ჩემპიონატის მორიგი დასრულება დაიწყო. „კლასის“ რევილი ჯგუფის გუნდები კვლავ დაიბრუნეს ერთმანეთს ახალი ტურის სტეპები.

გამარჯვებული თვალი კალენის და ნათლად დარწმუნდებით, მის დასა და ჩვეულებრივი, „რიგის“ ტური, რომლის შედეგებს არ შეუძლია რადიკალური ცვლილება შეტანა გათამაშების ცხრილში. ხვალ ერთმანეთს ხვდებიან ლიბის მხრივ ლიდერები, ხოლო მორიგ მხრივ — არიერგარდის მონაწილეები. „ნეიტრალური“ მატჩები თითქმის არაა.

ჩამოვთვალოთ, თუნდაც, მოწინააღმდეგე წყვილები: „სპარტაკი“ (სოსოვი) — „შახტიორი“ (დონეც-

კი). რა თქმა უნდა, ჩემპიონატში პირველ-მეორე ადგილებზე მყოფი გუნდების შეხვედრა ტურის ცენტრალური მოვლენაა და, ჩვენი აზრით, „შახტიორისთვის“ მალევე ძნელი ამოცანაა შეინარჩუნოს ლიდერის პოზიცია — მოწინააღმდეგის მინდორზე ბრძოლაში, ისიც „სპარტაკთან“, რომელმაც სულ ახლახან დაამარცხა მოსკოვის „დინამო“ და, იტყობა, აღმავლობას განიცდის. ორივე გუნდს გატანაში და მიღებული ბურთების საუკეთესო ბალანსი აქვს (16 გატანილი, 4 გაშვებული ბურთი სპარტაკელებს და 5 — დონეცელებს), ამიტომ, ეძვს გარეშე, ბრძოლა უკიდურესად დაძაბული იქნება. შეგახსენებთ: 12 მატჩის შედეგად „შახტიორს“ აქვს 17 ქულა, „სპარტაკს“ — 16.

ეს ერთი წყვილი. მეორე არანაკლებ საინტერესო მოწინააღმდეგე-

თა წყვილი თამაშობს მინსკში — ადგილობრივი და მოსკოვის „დინამოს“ გუნდები. ხვალინდელ მატჩებს თითქმის განსხვავებული მდგომარეობა უკავიათ სატურნირო ცხრილში, ვინაიდან მინსკელები თავიანთ მოსკოველ თანაკლებელებზე ხუთი საფეხურით წინ არიან. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ორივე გუნდს ჩახსტარებული მატჩები აქვს თაღარგში და ამ პოტენციურ შესაძლებლობათა სრულად ანაწლარებისთვის ბრძოლას მაქსიმალური დაძაბულობა ექნება. სსრ კავშირის ჩემპიონის სადღეისოდ სახიფათო ზონაში იმყოფება და უკვე დაიწყო თავისი ადგილის ცხრილის ზემო ნახევარში. რაც შეეხება მინსკელებს, მათი თავდასხმა, კერძოდ, ცნობილი დუეტი მაღალევიციურ-შუსტიგინი წელს გაცილებით ნაკლები აგრესიით თამაშობს, ვიდრე შარშან (7 გატანილი გოლი), მაგრამ ხთანადო სიმძლავრე და-

ცვა, რომელმაც 11 შეხვედრაში გაუშვა სულ 6 ბურთი.

და ლიდერთა წარმომადგენლების კიდევ ერთი შეხვედრა: — „დინამო“ (თბილისი) — სკა (როსტოვი). როსტოველები თავიანთი ტრადიციის ერთგულნი დარჩნენ და თამაშობენ დიდი ენთუზიაზმით, მონდომებით, აგრესიულად. მათი თავდასხმის ანგარიშზეა 19 გოლი. კვლავინდებურად გააქვს გოლები ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირს — ო. კოპაევს (მის პირად ანგარიშზე ჯერჯერობით 8 ბურთია). გუნდის მდიდარ შესაძლებლობებზე ნათლად მეტყველებს თუნდაც როსტოველთა მიერ 6 ივლისს ჩატარებული მატჩი გორკში. ცხადია, თბილისის დინამოელებს, რომლებიც თანდათან იზრუნებენ თავიანთ საბრძოლო ფორმას და მასთან ერთად დაკარგულ პოზიციებსაც, ხვალ მეტად ძნელი, საპასუხისმგებლო მატჩი აქვთ და მით უფრო სა-

პირა მათთვის მისი მოგება, ჩვენს გუნდს საშუალება ექნება 2 ქულით გააწაროს თავის ერთ-ერთ მთავარ მეტოქეს.

სულ უფრო დაუფრო საინტერესო და მატჩურებად ხდება ქუთაისელთა თამაში. ვფიქრობთ, ის სერიოზული, ხანგრძლივი კრიზისი, რომელიც ჩვენს მეორე გუნდს ახლდა წინა თვეებში, შეიძლება განვლილ ეტაპად ჩაითვალოს. გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ა. შორაძემ გარკვეული ცვლილებები მოახდინა შემადგენლობაში, ახალი სული შეაბერა კოლექტივს და შედეგად სახეზე გვაქვს: გამარჯვება კიშინიოვში, გამარჯვება საერაშოროსო მატჩში პოლონეთის „უნიასთან“... ხვალ ტორპედოელები საკუთარ მინდორზე მიიღებენ ბაქოს „ნეფტაიკს“ და იმედოვნებენ, ისინი ახლად სიხარულს მოგვტანენ მორიგი გამარჯვების სახით.

ზემოაღნიშნულთა გარდა 10 ივლისს შედეგება კიდევ შემდეგი მატჩები: „კრილია სოვეტოვი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი); „ნეიტო“ (ლენინგრადი) — „ვოლოგა“ (გორკი).

კლასის

„ლოკომოტივმა“ დაამუხრუხვა

ალანი, 8 ივლისი (ტელეფონი). დღეს აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ტურნირში „კლასის“ მეორე ჯგუფის 11 მჭაჭელის გუნდებს შორის — ადგილობრივი „დინამო“ და თბილისის „ლოკომოტივს“.

რევილი ბურთი სტუმართა კარ-

ოგუნდურების ენსკოვსკი

ში აღმოჩნდა პირდაპირ კუთხური მატჩის შემდეგ. ტალინელებმა მატჩის ბოლომდე კედვე ერთი გოლი გაიტანეს და გაიმარჯვეს — 2:0.

აქ გამართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში რსდსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვედნენ ადგილობრივი „ალანსი“ და ფოთის „ელოზი“.

ბოლო ხანებში განცილები მთელ რიგ წარუმატებლობათა შემდეგ გურჯაანელებმა აჩვენეს მონდომებული, ძლიერი თამაში. მათ შეძლეს მოწინააღმდეგის დამარცხება ანგარიშით 4:2. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ლუქაევი (3) და კაიშაურმა.

საპარტიველოს პირველობაზე

გამართა ფეხბურთში რესპუბლიკის ზონალური პირველობის მორიგი შეხვედრები: ბოლნისი — ლაგოდეხი 2:1, ყვარელი — თელავი 0:1, ახმეტა — წითელწყური — 3:3, ავარა (გორის რ-ნი) — ბორჯომი 1:1, დუშეთი — წალკა 0:2, გარდაბანი — მცხეთა 0:2, თეთრი წყარო — ხაშური 0:0, თიანეთი — კასპი 1:2, ქ. წყალტუბო — საჩხერე 1:1, წყალტუბოს რ-ნი — ტყებული 3:1; სამტრედია — ზუგდი-

წინაპრები

სელური და მხრით უკან ბრუნე გუნდს ხელყურამდე.

მედიფარიანი: 1. მოხრილი უკუფრენით 180°-ზე ბრუნე; 2. ბრუნე გადამხრით — ფეხების ძელზე; 3. ძელების ბოლოში, პირისახით ბრუნე; 4. ბრუნე „თარაზულა“ და გამართული წელით, გამართულ მკლავებზე ძალით ხელყურა.

ბრუნე ლაძე: 1. ბრუნე დასრულებული ხელყურაში; 2. ბრუნე დასრულებული ხელყურაში და ტემპში ბრუნე 180°-ზე ხელყურამდე; 3. მოხრილი უკუფრენით 180°-ზე ბრუნე და წინით წინფრენა ორთავე ძელებში.

ჯორჯაძე: 1. ამართით ასვლა 180°-ზე ბრუნე; 2. უკან ძელ-ამოტყაპით ხელყურაშიდან წინა ძელებში; 3. ხელყურაშიდან ბრუნე ცალ ხელზე გასწვრივ ყირამდე და ფეხებით ბრუნე.

ძელზე, განვიად ვიწრო ტაცით — მოხრილი წელით, გამართულ მკლავებზე ხელყურა.

გოლოვაი

ბაბილოძე: 1. წინაღმართიდან; 2. უკანაღმართიდან; 3. ხელყურაშიდან; 4. ბრუნის გადაცილებით გამართული წელით უკუტრიალი; 4. ხელყურაშიდან — წინააღმართი, მოხრილი წელით შეგვიწინა და ტემპში აკვრით ასვლა ხელყურაში.

ბაღრაძე: 1. ჩვეულებრივი მართხმევიდან; 2. ატანა (ძალით ასვლა ხელყურაში); 3. ბრუნე ხელყურაში; 4. ღრმა ტაცით კიდდან (მკლავების მოუხრებად) ძალით შლიბეწმით ასვლა და მოიბრუნე — ძალით ბრუნეში ასვლა; 4. უკანით კიდდან (მკლავების მოუხრებად) ძალით შლიბეწმით ასვლა.

ჯორჯაძე: 1. უკუტრიალი 180°-ზე ბრუნეში ფეხშლით ჩამოსტოპი.

ტაივი

მედიფარიანი: 1. გავერდმოვლები 180°-ზე ბრუნე.

რცხილაძე: 1. გავერდმოვლებიდან, მხრით უკან 180°-ზე ბრუნე ცალ ხელზე, სახეურზე და ტანზე უკანით ბრუნე და გავერდმოვლები; 2. სახეურზე და ტანზე ბრუნეში გავერდმოვლებიდან ბრუნე მხრით უკან — ტანზე განვიად ბრუნე და გავერდა.

ჯორჯაძე: 1. გავერდმოვლები 180°-ზე ბრუნე და ერთდროული გადატაცით; 2. გავერდმოვლებით ტანზე გასვლა და ისევ სახეურებში შესვლა.

ოგანოვი: 1. გავერდმოვლებიდან, ცალ სახეურზე — ცალ ხელზე ბრუნეში 360°-ზე ბრუნე.

ხვანითი ხტოვაი

ჯორჯაძე: 1. ტაივი სიგრძეზე — გვერდმართალი ხტოვაი.

თაყაიშვილი: 1. ტაივი სიგრძეზე — უახლოეს მესამედზე ხელყურის არეკვით წინააღმართი ხტოვაი.

თავისუფალი ვარჯიში (აქრობა ტიკა)

მედიფარიანი: 1. გავერდმოვლები — იატაკზე.

ჯორჯაძე: 1. ამართით ადგილი 180°-ზე ბრუნე — დგომბუნამდე. ჯორჯაძე: 1. ორი ტემპიანი უკუყურამაღა ცალ ხელზე (ჯერ მარცხენა ხელზე, მერე — მარჯვენაზე).

ქალევი

ნარსიზაღლის ორპლი

მ. ჯუღელი: 1. პირისახით შეგნით ზედა ძელზე უკანით ბრუნე და გამართული წელით უკუტრიალი — ქვედა ძელზე ბრუნეში „გადაფრენით“; 2. პირისახით ქვედა ძელისკენ — გამორბენით ფეხშლით გარეგადაქნით შესტოპი; 3. ქვედა ძელზე დგომბუნედას ქვევლით გაქნევი ბრუნე — ზედა ძელზე ნაირტაციით კიდამდე.

მეზბუქი: 1. ქვედა ძელზე დგომბუნედას ქვევლით გაქნევი ზედა ძელზე კიდამდე.

შარბანიძე: 1. დგომბუნედას, ზედა ძელის გადაცილებით გავერდმოვლები კიდამდე.

შარბანიძე: 1. ქვედა ძელზე ტაციით დგომბუნედას, მისტოპით ღრუგადაქნით და უკანით აკვრით ასვლა; 2. პირისახით გარეთ ზედა ძელზე უკანით ბრუნე, წინტრიალით წინფრება 180°-ზე ბრუნე (ქვედა ძელის გადაცილებით).

ქნში 360°-ზე ბრუნე; 2. ცალ ხელზე ყირადან უკუფრება.

თავისუფალი ვარჯიში (აქრობა ტიკა)

მ. ჯუღელი: 1. წებტოპით — ხელყურაში დასტოპი.

ხვანითი ხტოვაი

მ. ჯუღელი: 1. ტაივი სიგრძეზე — დადი მანძილით დაცილებული ბოვიდან ტემპიანი წინააღმართი ხტოვაი.

ზემოაღნიშნული ილეთებისა და ილეთთა ნაერთების გარდა, საქართველოს ტანმოვარჯიშებმა შექმნეს ისეთი რთული ილეთები, როგორცაა: ლერიდან „სხლეტით“ ჩამოსტოპი, ორძელზე — ხელყურაშიდან უკუმაღაყი ბრუნე, გამართული წელით უკუფრენით 180°-ზე ბრუნე და სხვ.

ილეთთა შექმნაში იმ დროის მწვრთნელებსაც მიუძღვით დიდი ღვაწლი, განსაკუთრებით კი გამოჩენილი პედაგოგისა და მწვრთნელის ე. გენაძის, რომელიც განსურველად აღვივებდა თავის პასუხისმგებლობაში შემოქმედებით უნარს და თანდათანობით ავითარებდა მას.

ს. თაღაივი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.



ეოსტოპი ახლანა და მთავრებულ მძლეოსანთა ტრადიციულ ნაერ-
თაშორისო შეჯიბრებაზე — ძმები ს. და გ. ზნაძეების სახელობის
მემორიალზე — როგორც ცნობილია, გათამაშდა სამი მთავარი პრიზი —
1.500, 5.000 და 10.000 მეტრზე რბენაში, რომელთაგან ერთი (1.500 მ
რბენაში) შეინარჩუნა პრიზის შარშანდელმა მფლობელმა, ჩეხოსლოვა-
კელმა ტ. სალინგერმა. დანარჩენი ორი პრიზი დასაკუთრეს საბჭოთა
სპორტსმენებმა — 5.000 მ რბენაში — კ. ორენტასმა და 10.000 მ —
ნ. დუტოვმა.

სურათზე: მარცხენა — ორენტასი და დუტოვი ფინიშთან; მარ-
ჯვნივ — რბოლას ამთავრებენ 1.500 მეტრზე მორბელები. წინაა სალინ-
გერი.

ფოტო გ. უნ და სინისა და ვ. შანდრინისა (საქდესა).



ტრადიციის ბრძელდება

სსრ კავშირ-
იპოსტალის
საპარაკო
მატჩი

10 ივლისს ლენინგრადში იწყება სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრა-
კეთა გუნდების ამხანაგური საერთაშორისო მატჩი. ორი ქვეყნის გამოჩენილი დი-
ლოსტატებისა და ოსტატების შეხვედრა კარგ ტრადიციად გადაიქცა. ამჯერად
იუგოსლაველები ჩამოვიდნენ VII მატჩის სათამაშოდ. საინტერესოა აღინიშნოს,
რომ ყველა წინა მატჩი მოიგეს საბჭოთა მოჭადრაკეებმა.

როგორც წესი, გუნდები თამაშობენ შევნიშვნების სისტემით, როცა ერთი
ქვეყნის მოჭადრაკეები ხვდებიან მხოლოდ მეორე ქვეყნის წარმომადგენელთ. თვი-
თუღუნ გუნდშია 6 კაცი, 2 ქალი და 2 ჯაბუკი.

ამას წინათ იუგოსლავურმა გაზეთმა „სპორტმა“ გამოაქვეყნა თავისი ქვეყ-
ნის ნაერები, რომელიც ლენინგრადში გამომეზარა. გუნდში არიან დილოსტა-
ტები გლიგორიჩი, ივკოვი, მატანოვიჩი, უდოვიჩი და პარმა, ოსტატები ჩირიჩი
და ჯურაშევიჩი, ოსტატი ქალები — ნედელკოვიჩი, ლაზარევიჩი, იოვანოვიჩი,
ჭაბუკები — კურაივა, ბონკოვიჩი და ანტუანევი.

გაზეთი აღნიშნავს აგრეთვე, რომ ტრადიციული შეხვედრის შემდეგ ბელგრა-
დელი მოჭადრაკეები ორ მატჩს გამარჯვებულ ლენინგრადის ნაერებთან (5 კაცი,
3 ქალი).

ვინ გამოვა სსრ კავშირის ნაერებში? საპარაკო ფედერაციამ გუნდში შეიყ-
ვანა დილოსტატები სპასკი, გელერი, კორნოი, პოლუგავესკი და ტაიმაზოვი,
ოსტატი ანტონინი, ოსტატი ქალები — მსოფლიო ჩემპიონი გაფრინდაშვილი,
სსრ კავშირის ჩემპიონი რანიკუ, კუშინი და ბორისენკო, ჯაბუკები — კუზმინი
და გრიგორიანი.

მატჩი 17 ივლისამდე გაგრძელდება.

◆ **ბ. პატროსიანი და პ. კერესი — ბუენოს-აირესში**
დღეს ბუენოს-აირესში იწყება საერთაშორისო საპარაკო ტურნირი,
რომელშიც მონაწილეობენ ტ. პეტროსიანი და პ. კერესი.

ქველი
ქველი
ქველი

▲ **ბუჰარისტი.** რუმინეთის
დედაქალაქში გამართულმა სა-
ერთაშორისო ტურნირმა თავი-
სუფალ და კლასიკურ ქილაობა-
ში მსოფლიოს 12 ქვეყნის სპორ-
ტსმენები შეკრიბა. ჩვენი ქვე-
ყნიდან გამოდიოდა ბელგორუსის
ნ. მუჰომედოვი, რომელთაც გან-
საკუთრებით გამოიჩინეს თავი
თავისუფალ ქილაობაში (მედი-
დმა გაიმარჯვა მძიმე წონაში,
ხოლო ლისაფინმა — ქვემძიმე-
ში).

▲ **ვარშავა.** 487 სმ ასეთ
შედგეს მიადწია ახალგაზრდა ვ.
ოსინსკიმ კოკით სტრამში, რაც პო-
ლონეთის ახალი რეკორდია.

▲ **პალერმო.** ფეხბურთელ-
თა ადგილობრივი გუნდის მწვრთნე-
ლად დანიშნა ვინმე ვიქტორია მა-
გალიოტი, რომელიც თავისი „წო-
ნით“ თურმე საგრძობლად აღე-
მატება მსოფლიოში განთქმულ
მწვრთნელებს — ბელა გუტმანს და
ვლენიო ვერას. მაგალიტი კლუბს
2,5 მილიონი ლირა დაუჯდა. მიუ-
ხედავად ამისა, მწვრთნელმა თავის
პოსტზე მხოლოდ 19 დღე დაჰყო.

▲ **რიო-დე-ჟანეირო.** ბო-
ტაფოგოს გუნდში მოვიდა ახ-
ალგაზრდა თავდასხმული ეარ-
ზინიო, იგი 20 წლისაა, 172 სმ
სიმაღლისა და იწონის 60 კი-
ლოგრამს. ბრაზილიაში მას „ახ-
ალი ამარილო“ შეარქვეს.

▲ **დასავლეთ ბერლინი.** აქ
გამართულ მძლეოსანთა ასპარე-
ზობაში ფრანგმა სპორტსმენმა
ქალმა მ. დიუპუარიორმა 800 მ
რბენაში თავისი ქვეყნის რეკორ-
დი 0,8 წამით გააუმჯობესა. მი-
სი შედეგი 2.03,8 საუკეთესოა
წლებადღეს სეზონში. 5.000 მ
რბენაში გაიმარჯვა ავსტრალი-
ელმა რ. კლარკმა — 13,41,0,
რომელმაც გაუსწრო ს. ნორ-
პოტს (გერ) — 13,48,4 და ეს-
პანელ ფ. არიტემენდის — 13,53,4
(ქვეყნის რეკორდი). მსოფლიო
რეკორდსმენმა 3.000 მ დაბრკო-
ლებებით რბენაში გ. რულანტს-
მა (ბელგია) დისტანცია გაიბი-
ნა 8,32,2.

დიდი კვლევა ითამაშებს

გამოჩენილი ბრაზილიელი
ფეხბურთელი დიდი, რომელიც
ტოკიოში თავისი ქვეყნის ოლიმ-
პიური ნაკრების მწვრთნელი იქ-
ნება, ახლა 36 წლისაა და დრო-
დადრო წარმატებით მონაწილე-
ობს ამხანაგურ მატჩებში. ამან
მას აფიქრებინა ისევ დაბრუნე-
ბოდა მწვანე მინდორს. ამიტომ
დიდი მიიღო ღირსს „კრისტა-
ლის“ (პერუ) მიწვევა, რომელ-
საც იგი აღრე წვრთნიდა და მო-
მავალი სეზონიდან იქ ითამა-
შებს. დიდსთან ერთად თავდას-
ხმაში გამოვლენ ბრაზილიელები
ეცილო და მანუელი. ამ „ტრი-
ოს“ წყალობით „კრისტალი“ აპ-
ირებს მოიგოს პერუს ჩემპიონ-
ობა და ითამაშოს სამხრეთ ამე-
რიკის ქვეყნების ჩემპიონთა
თასზე.



17 წლის გოგონა
კრისტინ კარონი
(სამშობლოში მას „კიკის“
ეძახიან) დღეს საფრანგეთის
ერთ-ერთი „მთავარი
იმედია“ ტოკიოს ოლიმპი-
ურ თამაშებზე. „კიკის“
არ აქვს დიდი და ამაღელ-
ვებელი სპორტული ბიო-
გრაფია. ნიჭიერი მოცურა-
ვე მწვრთნელებმა ადვილად
შენიშნეს და სისტემატური
წვრთნა დააწყებინეს. შემ-
დეგ კი...

კარონმა განსაკვირვებ-
ელი სიბეჭით და მონდომე-
ბა გამოიჩინა. იგი უსიტყ-
ვოდ და ზედმიწევნით ზუ-
სტად ასრულებდა მწვრთნე-
ლის ყოველ სიტყვას, რჩე-
ვას, მითითებას და აი:
შედეგად — „კიკი“ ჯერ
თავისი ქვეყნის, შემდეგ კი
ვეროპის მასშტაბის მოცუ-
რავე გახდა.

ამ ერთი თვის წინ კრისტინ კარ-
ონი მსოფლიოს უძლიერეს სპორ-
ტსმენტა ავანგარდში ჩადგა. პარიზს
გამართულ იუნორთა შეჯიბრებაში
მან 100 მეტრზე ზურგზე ცურვაში
არგენა 1.08,6, რაც 0,3 წამით აღე-
მატება ამერიკელ დ. დე ვერონას
ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს.

სურათზე: „კიკი“ სარეკო-
რდო გაცურვის შემდეგ.

სტარტი „უპუღმარტობანი“

საპარაკო სსრ 1964 წლის
პირველია ფინანსურით

ორი დღე თბილის-
ში მიმდინარეობს
საქართველოს მორიგი
ჩემპიონატი ფრენბურთ-
ში. ჩვენ უკვე მრუ-
წყებოდით, რომ ქალთა
შორის პირველობისთ-
ვის ბრძოლაში ჩაე-
ბა 7 კოლექტივი. მერვე
ადგილი ეკავებოდა დარჩა, რადგან
სახელმწიფო უნივერსიტეტს შე-
ჯიბრებაზე გუნდმა არ წარმოუდგე-
ნია. ეს იმ დროს, როცა
ისინი წინა რესპუბლიკურ ჩემ-
პიონატზე გამარჯვებულთა შორის
იყვნენ. მაინც რა მოხდა? მოხდა
ის, რომ უნივერსიტეტში გუნდი
დაიშალა. მანამდე სტუდენტთა
რესპუბლიკურ თამაშებზე უნი-
ვერსიტეტელებმა მხოლოდ მეოთხე-
ადგილი დაიკავეს, მოთამაშეთა
უმრავლესობამ თავის დროზე დის-
ციპლინარული სასჯელი მიიღო,
ხოლო გუნდის შენარჩუნებაზე,
რაც მთავარია, მის რეზერვზე,
არავინ იზრუნა!

ერთა გუნდების I ტურის შეხ-
ვედრებიდან ცენტრალური იყო
სასოფლო-სამეურნეო და ფიზ-
კულტურის ინსტიტუტების გუნდე-
რის მატჩი. იგი ძალზე დრამატუ-
ლად წარიმართა და პირველთა
გამარჯვებით დასრულდა — 3:2
(7:15, 15:12, 8:15, 19:17, 16:14).
შეხვედრის დრამატულობა იმაში
გამოიხატებოდა, რომ გამარჯვებ-
ასთან როგორც მეოთხე, ისე მე-
ხუთე პარტიებში ერთობ ახლოს
იყვნენ. დამარცხებულნი (მეთო-
დე პარტიში ანგარიში მაკავადით
6:0, 10:6, ხოლო მეხუთეში —
4:0, 10:5...), მაგრამ მათ ორივე-
ჯერ ნერვებმა უმჯობესეს და სა-
ბოლოოდ წაგება იწყნეს. აღსა-
ნიშნავია, ფიზკულტურის ინსტიტუ-
ტის გუნდის წევრის კ. ოზიდოს
კეთილსინდისიერება სპორტული
ბრძოლის უაღრესად მშვენივრად გა-
საყვეტ მომენტშიც კი, იმ დროს,
როცა მან დაუშვა შეცდომა, ხო-
ლო მსაჯმა შეცდომით ამის გამო
მოწინააღმდეგე „დასაჯა“, ოზიდო-
სმა წამსვე აღიარა, რომ დასჯის
ღირსი თვითონაა. გაკვირვე-
ბას იწვევს მხოლოდ ის, რომ სა-
კავშირო კატეგორიის მსაჯმა ვ.

თხილისი
სპორტული ხანა

შახმურთი. სსრ კავშირის პირველობა „ა“ კლასის გუნდებს შორის.
9 ივლისი. სპა (როსტოვი) — „დინამო“ (თბილისი). დუბლშემადგენ-
ლობაში. „დინამოს“ სტადიონი. დასაწყისი 19 ს. 10 ივლისი. სპა (როს-
ტოვი) — „დინამო“ (თბილისი). ძირითადი შემადგენლობაში. „დინამოს“
სტადიონი. დასაწყისი 20 ს. ოსტატთა გუნდების შეხვედრის წინ 18 საა-
თსა და 30 წუთზე შედგება ეზობებისა და ქუჩების გუნდების გათამაშების
ფინალური მატჩი.

მუხილდონობა. 10—12 ივლისი. თბილისის პირადი პირველობა.
ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონი. დასაწყისი 16 ს. შეჯიბრებაში მონა-
წილეობის მსურველები უნდა ჩაეწერონ საორგანიზაციო კომიტეტში:
ქალაქის სპორტკავშირი, კონსტრუქციის ქ. № 6. ტელეფონი 5-43-26.
ფრანგურთი. 9—11 ივლისი. საქართველოს პირველობა „ა“ კლასის
გუნდებს შორის. „განთიადის“ ფრენბურთის მოედნები. დასაწყისი დი-
ლის 10 და 16 საათზე.

სპორტული ხანა

მთავარი ფეხბურთელი საკუთარი სახლის კარს ვერ აგნებდა, ფიზიკულ-
მოწინააღმდეგის კარს.

დამარცხების კი არა, სამარცხნო თამაშისა გეშინოდეს.

შინებრა შინიდან წასვლაზე ოცნებობს, „ა“ კლასის აუტსაიდერი კი „შინ-
დარჩენაზე“.

ა. ფოცავერაშვილი

ფეხბურთელებს წვიმაშიც შეუძლიათ მშრალად მოგება.

მშრალი ანგარიშის მიზეზი ხშირად ისაა, რომ სპორტსმენებს მათი სე-
ველი არა აქვთ.

გუნდი ფორმას ხშირად იცვლიდა, მაგრამ მაინც ვერ დგებოდა სასურველ
ფორმაში.

ხშირად ჩივიან: გოლი მომწიფდა და ბურთა მაინც არ გადისო. განა ყველ
მწიფე ვაშლი თავისით ვარდება ხიდან?

ბ. ბახტაძე

რედაქტორი მ. პაპაძე

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის
მისამართი: თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, დეპარტამენტის — თბილისი,
„ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და
სპორტული განყოფილება — 3-35-09, ქვესადგური (8-15-00-დან 09-მდე). პასუ-
ხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-
ფიზკულტურული განყოფილება — 5-14, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის
განყოფილება — 5-14, ფოტოლაბორატორია — 5-16, მემანქანეთა ბიურო —
5-11, გამომცემი — 3-81.